ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4076377

ნომერი: AR1611709

თარიღი : 27.06.2018

გაცემის თარიღი : 18.07.2018

გაცნობის თარიღი : 19.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით თავხელიძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ჯულაყიძე პ/ნ 35001104901
- ქ. თბილისი,ცოტნე დადიანის 156, ბინა 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981937 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 27 ივნისის №AR1611709 განცხადებით მომართეს ნინო ჯულაყიძემ და ანზორ ოდიკაძემ და 2018 წლის 25 მაისის №3981937 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვეს.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981937 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დავით თავხელიძის ქუჩა N1-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.14.03.039.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (დაშენება) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 25 მაისიდან 2019 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981937 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, სურთ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში №01.14.03.039.005.01.01.512, №01.14.03.039.005.01.01.513 და №01.14.03.039.005.01.01.514 საკადასტრო კოდების დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 25 მაისის №3981937 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში მითითებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (N01.14.03.039.005). ხოლო, ცალ-ცალკე №01.14.03.039.005.01.01.512, №01.14.03.039.005.01.01.513 და №01.14.03.039.005.01.01.514 საკადასტრო კოდების დაფიქსირება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აქედან გამომდინარე, სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981937 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის არსებობის ფაქტი არ დასტურდება. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი